პატივცემულო კოლეგებო,

ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ მოგილოცოთ შობა-ახალი წელი, რომელიც ერთი თვის წინ ვიზეიმეთ. ახალ სასესიო პერიოდში გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს თქვენს საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკითელდღეოდ; პირველ რიგში, გისურვებთ აფხაზეთის მიმართულებით თუნდაც რამდენიმე ნაბიჯით წინ წაწევას. ოკუპირებული ტერიტორია იყო და არის თითოეული ჩვენთაგანის არა მხოლოდ მოუშუშებელი ტკივილი, არა მხოლოდ მუდმივი საფიქრალი, არამედ ყოველდღიური საზრუნავი. ამ თვალსაზრისით, ვიმედოვნებთ, გამორჩეული იქნება 2020 წლის საგაზაფხულო სასესიო პერიოდი, რომელიც ეს-ეს არის ერთად გავხსენით. მთლიანად 2020 წელი იქნება გამორჩეული და მნიშვნელოვანი მრავალი თვალსაზრისით. ეს არის XXI საუკუნის მეორე ათეულის ანუ მეხუთედი საუკუნის ბოლო წელი; ეს არის წელი, როდესაც ჩვენ საუბარი მოგვიწევს არა მხოლოდ გეგმებზე, მიზნებზე, პროექტებზე, არამედ უფრო მეტად გაწეული მუშაობის შედეგებზე, ჩვენს მიერ გამოცხადებული პროექტების რეალიზაციის მიმდინარეობაზე. მოგეხსენებათ, 2020 წელს ჩატარდება მორიგი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც აუცილებლად იქონიებს გავლენას უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზეც.

საგაზაფხულო სასესიო პერიოდს უმაღლესი საბჭო ეგებება საკმაოდ ორგანიზებულად. ფრაქციებად დაყოფის მიუხედავად, არსებობს თანამოაზრეთა მყარი უმრავლესობა, რამაც უკვე უზრუნველყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება და მომავალშიც უზრუნველყოფს ჩვენს მიერ ერთობლივად დასახული, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, გრანდიოზული გეგმებისა და პროექტების რეალიზებას. სავსებით კანონზომიერად მოხდა ისე, რომ მუშაობის პროცესში დიდწილად წაიშალა ზღვარი ადრე ჩამოყალიბებულ და დღემდე ფორმალურად არსებულ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. თავს ნებას მივცემ არაკეთილმოსურნეთა გასაგონად განვაცხადო, რომ უმაღლეს საბჭოში არ არსებობს გადაულახავი დაპირისპირება არც ერთ პრინციპულ პოლიტიკურ საკითხზე. ფართო და ზოგჯერ ცხარე დისკუსიების გამართვა ცალკეულ თემებზე სულაც არ ნიშნავს დაპირისპირებას. სწორედ ასეთი დისკუსიების შედეგად ყოველთვის ვაღწევდით შეთანხმებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილებები კვალიფიციური უმრავლესობითაც არაერთხელ მიგვიღია. ეს ყოველივე გახლავთ სამივე ფრაქციის წევრთა დიდი უმრავლესობის დამსახურება. მადლობა თქვენ, პატივცემულო

კოლეგებო, ესოდენ მაღალი პასუხისმგებლობისათვის, იმისათვის, რომ ნებისმიერ მნიშვნელოვან პრობლემას უდგებით არა პიროვნული, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

ამგვარი დამოკიდებულება საქმისადმი ქმნის სწორედ იმ სამუშაო გარემოს, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია უმაღლესი საბჭოს ნოვატორული პროექტების განხორციელებისათვის. მინდა დაგპირდეთ, რომ უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა ყველაფერს იღონებს მშვიდი სამუშაო გარემოს შესანარჩუნებლად. წარმოუდგენელია სხვანაირი მიდგომა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებისადმი, სხვა გარემოს არსებობა ისეთ წარმომადგენლობით-საკანონმდებლო ორგანოში, რომლის 20 წევრიდან ოთხი სხვა მამულიშვილებთან ერთად სამარადჟამოდ შესულია საქართველოს ისტორიაში როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფუძემდებელი, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი; რომლის შემადგენლობაში არიან არაერთი მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრები, რეგიონებისა და რაიონების, მსხვილ საწარმოთა და დაწესებულებათა ყოფილი ხელმძღვანელები, თავიანთ დარგებში წარმატებული მეცნიერები. ასეთი შემადგენლობა რომ არა, ჩვენ ვერანაირ რეორგანიზაციას ვერ ჩავატარებდით, შესაბამისად დავრჩებოდით მხოლოდ სიმბოლურ ანუ უმაქნის ორგანოდ და არა ფუნქციებით, პროექტებით, იდეებით, დატვირთულ, აქტიურად მოქმედ სახელისუფლებო სტრუქტურად.

საკმაოდ წარმატებული გახლდათ 2019 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდი. დასრულდა აპარატის რეორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ 2019 წლის მაისში დავიწყეთ. რეორგანიზაციის შედეგად არ მომხდარა შტატების შემცირება, მაგრამ განხორციელდა რადიკალური სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები ახალი ხელმძღვანელობის მიერ წამოყენებული სამოქმედო პროგრამის შესაბამისად. ადრე არსებული ნაკლებად დატვირთული ან სრულიად უფუნქციო ექვსი დეპარტამენტისა და ორი თუ სამი სამსახურის ნაცვლად დღეს გვყავს კონკრეტული ფუნქციებით აღჭურვილი ორი დეპარტამენტი და ერთი სამსახური. სრულად არის დაკომპლექტებული ხუთივე კომიტეტის სამ-სამ კაციანი აპარატები, რომლებიც რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა. მოგეხსენებათ, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში პარლამენტარები კი განსაზღვრავდნენ და დღესაც განსაზღვრავენ პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კი ღებულობენ კანონებს, მაგრამ საპარლამენტო საქმიანობის უდიდეს ნაწილს ასრულებდა და ასრულებს აპარატი. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ასეთ ფუფუნებას ჩვენ მოკლებული ვიყავით. დღეს კი შემიძლია მოგახსენოთ, რომ უკვე გვყავს ისეთი აპარატი, რომელსაც ხელეწიფება

ჩვენს მიერ გამოცხადებული პროგრამების განხორციელება, უმაღლესი საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილების თუ კანონის პროექტის მომზადება, უმაღლესი საბჭოს წევრების დავალებების შესრულება და ა. შ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ აპარატში მოვიდნენ განათლებული, მოტივირებული, ჯანსაღი ამბიციების მქონე ახალგაზრდები; მოვიდნენ მაღალი რანგის პროფესიონალები - იურისტები, ეკონომისტები. გვყავს სპეციალისტები საერთაშორისო ურთიერთობების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, საინფორმაციო პოლიტიკის საკითხებში. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ასეთი სპეციალისტების გარეშე უმაღლესი საბჭოს გამართული ფუნქციონირება, დასახული გეგმების განხორციელება შეუძლებელია.

აპარატის რეორგანიზაციას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. სამწუხაროდ, გვიწევდა ადამიანების დარწმუნება იმაში, რომ საჭიროა სამსახურში სიარული, თანაც 9 საათიდან 18 საათამდე; რომ საჭიროა არა მარტო სიარული, არამედ თურმე მუშაობაც. წლების განმავლობაში უმაღლესი საბჭოს აპარატში გამეფებულ უსაქმურობას და უდისციპლინობას მიჩვეულ ადამიანებს, დიდწილად არაპროფესიონალებს ძალიან გაუჭირდათ ახალ რეალობასთან შეგუება. ვაღიარებთ, რომ შრომითი დისციპლინის პრობლემა ჯერ კიდევ ბოლომდე მოხსნილი არ არის, მაგრამ პროგრესი აშკარად სახეზეა, ვითარება რადიკალურად შეცვლილია უკეთესობისკენ. ვამაყობ ახალი კადრებით, ასევე იმით, რომ ე. წ. ძველი კადრების არც თუ ისე მცირე ნაწილმა იპოვა და დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი აპარატში. დღევანდელი უმაღლესი საბჭო თავისი აპარატით წარმოადგენს სამი თაობის ადამიანების ანუ დიდი პოლიტიკური და ცხოვრებისეული გამოცდილების, პროფესიონალიზმის, თანამედროვე განათლების, ახალგაზრდული ენერგიის, ახლებური აზროვნებისა და კრეატივის ოპტიმალურ ერთობას. მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ასეთი ერთობის გარეშე ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებთან და გამოწვევებთან გამკვლავება შეუძლებელია. აპარატის დაკომპლექტებისას დაცული იყო გენდერული ბალანსიც. აქვე ვიტყვი, რომ მალე მოგვიწევს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განახლება.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც 2013-2014 წლებიდან იდგა ჩვენს წინაშე, გახლდათ აფხაზეთის ა/რ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება. მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დაძლევის, თუ გნებავთ ხელოვნური დაბრკოლების გადალახვის შემდეგ 2019 წლის 21 ნოემბერს მივიღეთ კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც ძალაში იმავე წლის 11 დეკემბერს შევიდა. აფხაზეთის ა/რ ძირითადი კანონი მოყვანილია სრულ შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციასთან. 2013 წლის ბოლოდან პირველად მოხერხდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნის წესის დადგენა ისე, რომ არ გამხდარა საჭირო

საქართველოს კანონმდებლობაში რაიმე სახის ცვლილების შეტანა. ჩვენი კონსტიტუცია, რომლის საბოლოო ვარიანტის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტმა, პირადად ბატონმა ირაკლი კობახიძემ, დაიხვეწა, გახდა უფრო კომპაქტური. უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება დარჩა იგივე, რაც იყო ჩადებული კონსტიტუციის წინა რედაქციაში. ერთადერთი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობის შემადგენლობის 50%-ით განახლების შემთხვევაში, ახალი რედაქციის თანახმად, არ ხდება მისი ხელახალი დამტკიცება უმაღლესი საბჭოს მიერ. განხორციელებულ ცვლილებას დავეთანხმეთ, რადგანაც მას არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული საკონსტიტუციო ნორმა უკანასკნელად 2012 წლის ივლისში ანუ რვა წლის წინ გამოგვიყენებია. ერთი სიტყვით, უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების თვალსაზრისით არსებითი ცვლილება კონსტიტუციაში არ შესულა, მაგრამ შევიდა ცვლილება ყველა დონეზე შეთანხმებული კონსტიტუციის პროექტში. მიზეზები უცნობია. თუ ვინმე გადაწყვეტს მათში გარკვევას, ვისურვებდი მიზეზები, უწინარეს ყოვლისა, უმაღლეს საბჭოში ვეძიოთ და ამაზე დავსვათ წერტილი. მთავარი გახლავთ ის, რომ მიღებული კონსტიტუცია უზრუნველყოფს აფხაზეთის ლეგიტიმური სახელისუფლებო სტრუქტურების გამართულ საქმიანობას, სხვადასხვა შტოების დაბალანსებას.

მოგეხსენებათ, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, როგორც წესი, იწვევს შესაბამის ცვლილებებს არსებულ საკანონმდებლო აქტებში. უპირველეს ყოვლისა, ძირფესვიან გადამუშავებას მოითხოვს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი. 2019 წლის 13 დეკემბერს ბ-ნ გიორგი გვასალიას ხელმძღვანელობით პრეზიდიუმის მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დავალება შეასრულა და მოამზადა კანონპროექტი რეგლამენტში ცვლილებების შესახებ. გუშინ, 3 თებერვალს, პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, დაწყებულია კანონპროექტის განხილვის პროცედურა.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება მოითხოვს ასევე ცვლილებების შეტანას კანონში „აფხაზეთის ა/რ მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“. თქვენი სახელით, პატივცემულო კოლეგებო, მივმართავთ აფხაზეთის მთავრობას, დააჩქაროს შესაბამისი კანონპროექტის წარმოდგენა უმაღლეს საბჭოში, რათა მოვახერხოთ რეგლამენტში და მთავრობის შესახებ კანონში ცვლილებების ერთდროულად შეტანა. კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან გამომდინარე, იგეგმება ცვლილებების შეტანა აფხაზეთის კანონში ნორმატიული აქტების შესახებ. ჩვენ მოგვიწევს აგრეთვე ეთიკის წესების შემუშავება,

როგორც ეს უკვე დიდი ხნის წინ გაკეთებული აქვთ საქართველოს პარლამენტს და აჭარის უმაღლეს საბჭოს.

საგაზაფხულო სასესიო პერიოდში კანონშემოქმედებითი საქმიანობა არ იქნება შემოფარგლული მხოლოდ არსებული საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანით. გვაქვს დასახული საკმაოდ ამბიციური ამოცანა - მომავალი აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. მოგეხსენებათ, 1992 წლიდან დღემდე აღნიშნულ საკითხზე არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, მეცნიერმა, პოლიტიკოსმა, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა იმუშავა. თქვენ შეგიძლიათ ჩვენს საიტზე გაეცნოთ 1992 წლიდან დღემდე შემუშავებულ ყველა პროექტს. სხვათაშორის ერთ-ერთი პირველები იყვნენ ჩვენი კოლეგები, რომლებმაც აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე ჯერ კიდევ 1992 წლის 1 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ხოლო 2 დეკემბერს გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში“ ქართულ და რუსულ ენებზე, გამოაქვეყნეს დოკუმენტი სახელწოდებით: „საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი წყობის შესახებ“. დღეისათვის მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა, თუმცა არსებობს მოგვიანებით შექმნილი მრავალი სხვა პროექტი, რომელიც უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული. ცხადია, ამ სფეროში არსებობს მდიდარი საერთაშორისო გამოცდილებაც, რომელიც ასევე გასათვალისწინებელია. იმედი მაქვს, გარკვეული წინასწარი კონსულტაციებისა და აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ მიმდინარე სასესიო პერიოდის ბოლოსკენ მაინც მოვახერხებთ მაღალი რანგის პროფესიონალებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის თუ კომისიის ჩამოყალიბებას, რომელიც გონივრულ ვადებში დადებს მომავალი აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტს. ენგურს გაღმა დღეს შექმნილი ვითარება გვავალდებულებს ხელთ გვქონდეს ასეთი პროექტი, თუნდაც პროექტის პროექტი.

ოკუპირებული აფხაზეთის, რბილად რომ ვთქვათ, უნუგეშო მდგომარეობა და მოვლენათა განვითარების ტენდენციები იმაზე მიუთითებენ, რომ, შესაძლოა, არც თუ ისე შორეულ მომავალში შეიქმნას ხელსაყრელი პირობები სხვადასხვა დონეზე ოფიციალური თუ არაოფიციალური დიალოგის წარმოებისთვის. დიდ იმედებს ვამყარებთ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პროგრამის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელებაზე, მასში უმაღლესი საბჭოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, შერიგებისა და ნდობის აღდგენის კომიტეტის მონაწილეობაზე ბ-ნ რუდიკ ცატავას ხელმძღვანელობით.

აშკარად იგრძნობა აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის ახალგაზრდების სწრაფვა ქართულ პროექტებში ჩართვისკენ, რაც თავისთავად მრავლისმეტყველია. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ითხოვს საქართველოს მოქალაქეობის მიღებას. აი, აქ ვაწყდებით პრობლემას, რომლის გადაჭრაში ჩვენ უნდა მივიღოთ აქტიური მონაწილეობა. მხედველობაში მაქვს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც გაამარტივებს აფხაზებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღებას, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, მოქალაქეობის აღდგენას. მოგეხსენებათ, აფხაზი დაბადებით არის საქართველოს მოქალაქე. ოკუპაციის პირობებში ის იძულებულია მიიღოს რუსეთის მოქალაქეობა. სწორედ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის გზაზე, რაც მიუღებელია. აფხაზთა 80-90 %-ს ჯიბეში უდევს რუსეთის მოქალაქის პასპორტი. გამოდის, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ამ ადამიანებზე, მათ ენას კი სახელმწიფო ენად ვაღიარებთ. ისმის ლოგიკური კითხვა: რასთან გვაქვს საქმე - სახელმწიფო ენად რუსეთის მოქალაქეების ენას ვაღიარებთ? რა თქმა უნდა, არა. როგორც უკვე ითქვა, აფხაზები დაბადებით არიან საქართველოს მოქალაქეები და არა ნატურალიზაციით, შესაბამისად მათთვის მაქსიმალურად უნდა იყოს გამარტივებული მოქალაქეობის აღდგენა.

სწორედ ამ სულისკვეთებით მომზადდება კანონპროექტი მოქალაქეობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე და საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარედგინება საქართველოს პარლამენტს. კანონპროექტში გათვალისწინებული იქნება აგრეთვე იმ ქართველ დევნილთა ინტერესები, რომლებიც ბედუკუღმართობის გამო საზღვარგარეთ აღმოჩნდნენ, გახდნენ იქაური მოქალაქეები, გამრავლდნენ უცხოეთში, დღეს კი სურთ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა ან ორმაგი მოქალაქეობის მიღება. აქაც პრობლემებია, რომელთა მოგვარებაზე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ.

ვაპირებთ კიდევ ერთი კანონპროექტის წარდგენას საქართველოს პარლამენტში, რომლის მიზანი იქნება სისხლის სამართლის კოდექსში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის უფრო ეფექტურ დაცვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გაამკაცრებს პასუხისმგებლობას კულტურის ძეგლების განადგურებისთვის, მათი იერსახის შეცვლისთვის და სხვა მსგავსი დანაშაულის ჩადენისთვის. არ გამოვრიცხავთ, აფხაზეთის მთავრობასთან კონსულტაციების შემდეგ დადგეს კიდევ სხვა კანონპროექტების მომზადების აუცილებლობა. ერთი სიტყვით, საგაზაფხულო სასესიო პერიოდი კანონშემოქმედებითი საქმიანობის თვალსაზრისით საკმაოდ დატვირთული იქნება.

შესაბამისად დატვირთული იქნება უმაღლესი საბჭოს საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ბ-ნ აკაკი გასვიანის ხელმძღვანელობით.

ჩვენი როგორც ოკუპირებული ტერიტორიის ხელისუფლების უმთავრეს საზრუნავი დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობაა. ამ მიზანს ემსახურება საშემოდგომო სასესიო პერიოდში ამოქმედებული და ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ორი უმნიშვნელოვანესი პროექტი. ორივეს შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი სავიზიტო ბარათი. სათანადო წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 2019 წლის 4 დეკემბერს მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი ვითარების საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ანალიზის მომზადების შესახებ“. აღნიშნული ანალიზის მომზადება და ოკუპანტის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოებში დავის თუ დავების დაწყება უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის, აპარატში დასაქმებულ იურისტთა კორპუსის ღირსების საქმეს წარმოადგენს. ამ ურთულესი ამოცანის რეალიზების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის ბატონ ნოდარ თოფურიძის ხელმძღვანელობით. ყოველი სასესიო პერიოდის გახსნის მოდევნო კვირაში, აგრეთვე ყოველი სასესიო პერიოდის დახურვამდე ერთი კვირით ადრე ან საკუთარი ინიციატივით ნებისმიერ სხვა დროს ბატონი ნოდარი პრეზიდიუმს წარუდგენს წინასწარ ინფორმაციას გაწეული მუშაობის შესახებ.

საშემოდგომო სასესიო პერიოდში დეოკუპაციის პოლიტიკის ფარგლებში ამოქმედდა კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი პროექტი. ვგულისხმობთ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2019 წლის 10 დეკემბრის დადგენილებას „გალის რაიონის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო პროექტის „დისტანციური სწავლებები“ ამოქმედების შესახებ“. პროექტის ხელმძღვანელი გახლავთ ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობის კოორდინატორი ქალბატონი ნანა კვარაცხელია. იმ ვითარებაში, როდესაც ოკუპანტმა ღიად აიღო გეზი გალის რაიონის მოსახლეობის ასიმილაციისკენ და ადგილობრივი მოსახლეობის ნების წინააღმდეგ ქართული ენა თითქმის მთლიანად გამოდევნა როგორც გალის რაიონის სკოლებიდან, ისე ყოველდღიური ცხოვრებიდან, მოძალადის ამ დანაშაულებრივ პოლიტიკას ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ მხოლოდ კლასგარეშე დისტანციური სწავლების მეთოდი. ასეთი სწავლების, მასში მოსწავლეთა რაც შეიძლება მეტი ნაწილის ჩართვის აუცილებლობა ესმის ყველას, გარდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აშკარად მოძველებული მეთოდებით მომუშავე ცალკეული თანამშრომლებისა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან

უშუალოდ განათლებაზე, მათ შორის ამ კუთხით ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ვითარებაზე. უფრო მეტიც, გალის რაიონიდან ვიღებთ აღმაშფოთებელ ინფორმაციებს იმის თაობაზე, რომ სამინისტროს ზოგიერთი პასუხისმგებელი, უფრო სწორი იქნებოდა ვთქვათ, უპასუხისმგებლო მუშაკი აფრთხილებს და მოუწოდებს ცალკეულ გალელ პედაგოგებს არ ჩაერთონ დისტანციური სწავლების პროექტში, აშინებს იქაურ მასწავლებლებს, რომ დისტანციური სწავლება მათ სამსახურს, ხელფასებს დააკარგვინებს და ა. შ. მივმართავ ბატონ რუსლან აბაშიძეს, ბატონ როლანდ ნიჟარაძეს, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ მხარდაჭერას და თანადგომას ვგრძნობთ დისტანციური სწავლების პროექტის რეალიზებაში და სხვა საკითხებშიც, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა აღნიშნული პროექტის შეუფერხებლად განხორციელებისთვის, მასში პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების მაქსიმალურად ჩართვისთვის; გამოავლინონ ხელისშემშლელები და მოსთხოვონ მათ სათანადო პასუხი. ასევე წინადადებას ვაძლევთ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისრტოს მის ხელთ არსებული საშუალებებით გადაამოწმოს უმაღლეს საბჭოში შემოსული ზეპირი ინფორმაციები ოკუპირებულ ტერიტორიაზე საშუალო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატების გაცემასთან დაკავშირებით არსებული კანონდარღვევების შესახებ. დიდი ალბათობით აღნიშნულ სავარაუდო კანონდარღვევებსა და დისტანციური სწავლების პროექტის ბლოკირების მცდელობას შორის თითქოს არსებობს გარკვეული კავშირი, რომელიც გამოსავლენია. იმედი მაქვს, აფხაზეთის მთავრობა შეისწავლის ამ საკითხს და მოახდენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების პოლიტიკის კორექტირებას იქ არსებული კატასტროფული ვითარების გათვალისწინებით. ბუნებრივია, მთელს ამ პროცესს კონტროლს გაუწევს უმაღლესი საბჭოს შესაბამისი კომიტეტი ბ-ნ ნუგზარ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით.

პროექტი „დისტანციური სწავლებები“ მიმართულია გალის რაიონისკენ, მაგრამ მას ენგურს აქეთაც, მათ შორის თბილისშიც აქვს გაგრძელება. პროექტში ჩართვას ითხოვენ ჩვენი დევნილი საჯარო სკოლებიც. გარდა ამისა ქალბატონი ნანა კვარაცხელია ოკუპირებული ტერიტორიიდან დედაქალაქის უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტებს ეხმარება ცალკეული მიმართულებებით აუცილებელი კრედიტქულების დაგროვებაში. ამ მიზნით ის ყოველ შაბათს სოხუმის უნივერსიტეტში სამოცამდე გალელ სტუდენტს, რომლებიც სამ ჯგუფად არიად დაყოფილი, უტარებს ლექციებს ინგლისურ ენაში. ქალბატონი ნანა მალე წარსდგება პრეზიდიუმის წინაშე და მოგვახსენებს გაწეული მუშაობის შესახებ.

„დისტანციური სწავლებები“ უპირველეს ყოვლისა, საგანმანათლებლო პროექტია, მაგრამ ამავე დროს ეს არის პოლიტიკური პროექტიც, რომლის მეშვეობით ვცდილობთ შევიდეთ გალის რაიონში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების ოჯახებში, გავიზიაროთ ოკუპანტების უხეში ზეწოლის, ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციის ქვეშ მოქცეული ადამიანების ჭირ-ვარამი, დავუახლოვდეთ და დავეხმაროთ მათ სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში. ყოველივე ამაში ხელის შეშლის მცდელობა არის დანაშაული, რომელიც არავის, მათ შორის წარსულში არც თუ ისე მცირე დამსახურების მქონე ადამიანებსაც არ ეპატიება.

უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის გუშინდელი გადაწყვეტილების შესაბამისად, ამა წლის 15 თებერვლამდე ამოქმედდება კიდევ ერთი დიდი პროექტი ბ-ნ გურამ მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით, რომელიც აპარატში დაიკავებს დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობის კოორდინატორის თანამდებობას. წინასწარი სამუშაოები დასრულებულია. საუბარია საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებთან - დევნილებთან ელექტრონული კავშირის დამყარებაზე. ნებისმიერ დევნილს ექნება შესაძლებლობა დაუკავშირდეს უმაღლეს საბჭოს წევრებს, ხელმძღვანელ პირებს, აცნობოს მათ თავისი პრობლემების შესახებ, შემოვიდეს განცხადებით, თხოვნით, საჩივრით, მოგვაწოდოს საინტერესო იდეა და ა. შ. ჩვენ აუცილებლად მოვახდენთ რეაგირებას ყველა ამგვარ განცხადებაზე. პროექტის განხორციელებაში ჩართული იქნება ხუთივე კომიტეტი, ალბათ, ყველაზე მეტად მაინც, ბატონ როსტომ შამუგიას მივმართავ, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომიტეტი. აღნიშნულ პროექტთან პირდაპირ კავშირშია ჩვენს მიერ მემორანდუმების გაფორმება აჭარის უმაღლეს საბჭოსთან, ზუგდიდის, ფოთის, ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის საკრებულოებთან. მემორანდუმი გაფორმდა ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“. მისი მეშვეობით დავუკავშირდებით საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს თანამემამულეებს, რომელთა დიდი პოტენციალის ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში მაქსიმალურად გამოყენების ფორმებზე, მეთოდებზე დღეს თუ არა ხვალ ძალიან სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ.

აფხაზეთიდან დევნილებს კარგა ხანია აწუხებთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი საკუთრების ბედი. ადამიანები სამართლიანად ითხოვენ ამ საკუთრების უფლების არა მხოლოდ დეკლარირებას და აღრიცხვას, არამედ რეგისტრაციასაც. დღეს არ ვაპირებთ ამ თემაზე დეტალურად საუბარს, მხოლოდ ვიტყვი იმის შესახებ, რომ 2019 წლის 30 დეკემბერს უმაღლესი საბჭოს სახელით საქართველოს პარლამენტს წარედგინა საკმაოდ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი ოკუპირებულ

ტერიტორიებზე არსებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. დოკუმენტი ამჟამად განხილვის სტადიაშია. განხილვის პროცესში ჩართულია ჩვენი მთავრობაც.

2019 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს ჩვენი სახელით წარედგინა კიდევ ერთი მოხსენებითი ბარათი პარლამენტის, ასევე მუნიციპალიტეტების საკრებულოების შემადგენლობაში აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლების გარკვეული კვოტების შესაბამისად არჩევის შესახებ. ამ საკითხს პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ დევნილთა რიგებიდან ახალი თაობის პოლიტიკური ლიდერების ჩამოყალიბებას, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე განათლება და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. საუბარი არ არის და არც იქნება დესტრუქციულ ჯგუფებზე, რომელთა ერთად-ერთ „პროფესიას“ ლანძღვა-გინება, უმაღლესი საბჭოს შეურაცხყოფა წარმოადგენს. ვფიქრობთ, დევნილთა ღირსეული წარმომადგენლების პარლამენტში დაბრუნება უფრო აქტიურს და წარმატებულს გახდის დეოკუპაციისა და არაღიარების, შერიგებისა და ნდობის აღდგენის სახელმწიფო პოლიტიკას. სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მთავარ მომხსენებლებად, სასურველია, გამოდიოდნენ „საქართველოს პარლამენტის წევრები, აფხაზეთიდან დევნილების წარმომადგენლები“. დარწმუნებული ვართ, დევნილის სტატუსის მატარებელი პარლამენტარების გამოჩენა საერთაშორისო ფორუმებზე მიიქცევს დამატებით ყურადღებას და ოკუპანტ სახელმწიფოსაც სერიოზულ დისკომფორტს შეუქმნის. საქართველოს პარლამენტში და საკრებულოებში დევნილთა წარმომადგენლების არჩევა ბევრად უფრო ეფექტურს გახდის აფხაზეთის ა/რ ლეგიტიმური სტრუქტურების საქმიანობასაც.

ასეთია ჩვენი ბოლოდროინდელი ინიციატივები. მინდა დაგარწმუნოთ, რომ უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა ძალღონეს არ დაიშურებს, რათა ეს ინიციატივები არ დარჩეს ქაღალდზე და კონკრეტულ შედეგებს მივაღწიოთ.

რადგანაც არჩევნების თემას შევეხეთ, მინდა მოკლედ, მაგრამ ძალიან მკაფიოდ განვაცხადო, რომ საოკუპაციო რეჟიმის ლეგიტიმაციის არდაშვების უზენაესი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ, აფხაზეთში კანონიერად არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრები, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს პოლიტიკური კონიუნქტურა, პოლიტიკური ვითარება, სიცოცხლის ბოლომდე შევინარჩუნებთ დეპუტატის სტატუსს, როგორც ეს გაუკეთებიათ არაერთი ოკუპირებული ქვეყნისა და რეგიონის კანონმდებლებს. ეჭვი არ მეპარება, იგივეს გააკეთებენ დევნილობაში მყოფი აჟარისა და ახალგორის საკრებულოების წებრები. ოკუპირებული აფხაზეთის

უმაღლესი საბჭოს არჩევნების არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარების მოთხოვნა არაკონსტიტუციურია, ამიტომ ეს თემა დახურულია და ჩვენი მხრიდან განხილვას არ ექვემდებარება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 8 სექტემბერს უარყო მოქალაქეთა ჯგუფის მიერ ამ საკითხზე მომზადებული სარჩელი, ხოლო საქართველოს პარლამენტის ბიურომ 2019 წლის 11 ნოემბერს განსახილველად არ მიიღო „ევროპული საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი, ბიუროს შეფასებით, ანტიკონსტიტუციური კანონპროექტი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. ჩვენ ვემორჩილებით საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებებს. განსხვავებული მოსაზრებისა და სათანადო კომპეტენციის მქონე პირებს მოვუწოდებთ იმოქმედონ სამართლებრივი გზებით.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ გარემოებაზე - ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს არალეგიტიმური არჩევნების ყბადაღებული თემის პერიოდული გააქტიურება დროში თითქმის ყოველთვის ემთხვევა ოკუპირებულ აფხაზეთში დე-ფაქტო ანუ უკანონო წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდს. სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს არის შემთხვევითი დამთხვევა. აქედან შესაბამისი დასკვნები უნდა გავაკეთოთ და ვაკეთებთ კიდევაც.

დავუბრუნდეთ მოხსენების ძირითად თემას. 2019 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა და დღესაც მიმდინარეობს მზადება საინფორმაციო ომის სათანადო დონეზე წარმოებისთვის. როცა ამ საკითხზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში ვგულისხმობთ ოკუპანტთან იდეოლოგიურ დაპირისპირებას, მის ჰიბრიდულ შემოტევებთან გამკლავებას, მოწინააღმდეგის მხილებას ყველა დონეზე, ყველა მიმართულებით. აღნიშნული მიზნის მიღწევას მოემსახურება აგრეთვე ჩვენი საქმიანობის, ზოგადად აფხაზეთის პრობლემატიკის საერთაშორისო არენაზე წარმოჩენა, სამშვიდობო პოლიტიკის მეტი პოპულარიზაცია. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ორ სააგენტოსთან მათთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. გვაქვს ასევე ხელშეკრულება რადიო „საქართველოს ხმასთან“, რომლის ეთერში გავდივართ ყოველ შაბათს 12 საათზე ჩვენთვის გამოყოფილ სპეციალურ გადაცემაში „აფხაზეთის დრო“. წამყვანებიც ჩვენი წარმომადგენლები არიან - საქვეყნოდ ცნობილი ჟურნალისტი, ამ საქმის დიდოსტატი, უმაღლესი საბჭოს აპარატის ერთ-ერთი სახე ქალბატონი დალი ჯონჯუა და დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის დოქტორი, მრავალი ღირსებით შემკული ბატონი ხვიჩა ქარდავა. იმედი გვაქვს, რომ ტელესაინფორმაციო პორტალი

„სალტე“, რომელთანაც ჩვენ უკვე ვთანამშრომლობთ ბატონ ალექსანდრე რუსეცკის დახმარებით, დააწესებს „აფხაზეთის საათს“.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დაწყებას, რომელიც, ვიმედოვნებთ, მალე მემორანდუმის სახითაც გაფორმდება. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, მხოლოდ ვიტყვი, რომ გვაქვს სერიოზული მოლოდინები, გვაქვს შანსი იმისა, რომ ახალ ხარისხში ავიყვანოთ საინფორმაციო პოლიტიკა.

საინფორმაციო ომზე საუბრისას არ შემიძლია არ შეგახსენოთ რუსეთის პრეზიდენტის ბ-ნ ვლადიმერ პუტინის საქართველოს ისტორიით „დაინტერესების“ შესახებ. ოკუპანტი სახელმწიფოს მეთაური უკვე წლებია ცდილობს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის ისტორიულ „დასაბუთებას“. ვ. პუტინის 2019 წლის 9 ივლისის გამოლაშქრება იმდენად ცინიკური და თავხედური იყო, რომ მას მოჰყვა მძაფრი რეაქცია არა მხოლოდ მეცნიერთა, არამედ საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირების მხრიდანაც. რა თქმა უნდა, თავისი ვალი მოიხადა უმაღლესმა საბჭომაც (http://scara.gov.ge/2011-09-08-07-44-18/1147--lr-.html), თუმცა ეს არ არის საკმარისი. მთელმა საზოგადოებამ, მეცნიერებმა და, რაც განსაკუთრებით მისასალმებელია, ქვეყნის უმაღლესმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, დაინახეს თუ რა დიდი საფრთხის შემცველია ოკუპანტის ისტორიული „წიაღსვლები“ და რამდენად მნიშვნელოვანია ამ საფრთხის დროულად განეიტრალება, დროული პრევენცია. ამასთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, რომ სოხუმის უნივერსიტეტში ჩვენი მონაწილეობით ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ქართულ-ინგლისურ ენებზე აფხაზეთის ისტორიისა და მთლიანობაში ოკუპირებული ტერიტორიის პრობლემის შესახებ განზოგადებული სამეცნიერო ნარკვევის მოსამზადებლად, რომელიც დაფინანსებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული რუსთაველის ფონდის მიერ. ვფიქრობთ, აღნიშნული სამეცნიერო პროექტის განხორციელება გააძლიერებს ჩვენს პოზიციებს ანტისაოკუპაციო ინფორმაციულ ომში.

ახალ სასესიო პერიოდში ვაპირებთ აქტიურ კომუნიკაციას და თანამშრომლობას დევნილი საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან-ვეტერანებთან, პედაგოგებთან, მეცნიერებთან, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, ზოგადად ახალგაზრდობასთან, მათ შორის ჩვენს სახელოვან სპორტსმენებთან, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებთან. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა დევნილ პედაგოგებთან და პროფესორებთან უკვე გაიმართა 29 იანვარს, რომელიც უაღრესად პროდუქტიული აღმოჩნდა და მას აუცილებლად ექნება გაგრძელება. მიმდინარეობს

მუშაობა ისეთ პროექტზე, როგორიცაა უმაღლეს საბჭოსთან აფხაზეთის ახალგაზრდული პარლამენტის ჩამოყალიბება.

2019 წლის საშემოდგომო სესიის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ, ვერ მოვასწარით ელქტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლა, რაც ძირითადად ორმა გარემოებამ განაპირობა. პირველი - ვერ შევიძინეთ კომპიუტერები საჭირო რაოდენობით. ეს ხარვეზი მალე გამოსწორდება. მეორე - მთელი საშემოდგომო სასესიო პერიოდის განმავლობაში ვიყავით გაურკვევლობაში ოფისთან დაკავშირებით.

ჯერჯერობით პრობლემად რჩება ოფისის, სამუშაო პირობების გაუმჯობესების საკითხი. 2019 წლის 3 სექტემბერს საშემოდგომო სესიის გახსნისას წარმოდგენილ მოხსენებაში ჩვენ განვაცხადეთ: „ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული პრობლემა უახლოეს დღეებში და კვირეებში გადაწყდება. აუცილებლად გვექნება დამატებითი სივრცე - სამუშაო ოთახები, გვექნება სხდომათა დარბაზი“. სამწუხაროდ, ხუთი თვის შემდეგაც მხოლოდ ამ სიტყვების გამეორება შეგვიძლია იმ განსხვავებით და იმ რწმენით, რომ კიდევ მესამედ არ მოგვიწევს მათი გამეორება. ოფისის პრობლემა საჩქაროდ არის მოსაგვარებელი. ჩვენი დაჟინებული თხოვნაა მთავრობის მიმართ, რომ ამ საკითხზე უახლოეს დღეებში მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება.

რადგანაც მთავრობა ვახსენეთ, მოკლედ ვიტყვი: ჩვენ ვენდობით ჩვენს მიერ დამტკიცებულ მთავრობას, გვაქვს საერთო ხედვა პრინციპულ საკითხებზე, რაც დღემდე უზრუნველყოფდა და მომავალშიც უზრუნველყოფს შეთანხმებულ საქმიანობას. მოგეხსენებათ, გამოცხადებული გეგმებისა და პროექტების რეალიზება მხოლოდ უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის კოორდინირებული მუშაობით, ერთმანეთისთვის მხარში ამოდგომით არის შესაძლებელი. ამ სულისკვეთებით გაგრძელდება ჩვენი საქმიანობა. უმაღლესი საბჭოს, მისი კომიტეტების ვალია ყველანაირად ხელი შეუწყოს მთავრობას ჩვენს მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამის განხორციელებაში. ასეთი ხელშეწყობის ერთ-ერთი ფორმაა უმაღლესი საბჭოს მხრიდან მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი ენიჭება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ბ-ნ მურმან კვარაცხელიას ხელმძღვანელობით, ასევე სხვა კომიტეტებს.

ქალბატონებო და ბატონებო! ასეთი გახლავთ უმაღლესი საბჭოს მიერ 2019 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდში გაწეული მუშაობის ძირითადი შედეგები და ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ჩვენი სამომავლო გეგმები, ახალი პროექტები, რომელთა მსგავსი ადრე არასოდეს გვქონია. რა თქმა უნდა, მომავალში სხვა პროექტებიც იქნება შემოთავაზებული. უმაღლეს საბჭოში განხორციელებული

ცვლილებები, ჩვენი ერთსულოვნება არის და იქნება მათი რეალიზების საწინდარი. ვიცით, რომ რაც უფრო მეტ კონკრეტულ საქმეს გავაკეთებთ, რაც უფრო მეტად აქტიურები ვიქნებით, რაც უფრო მეტ დისკომფორტს შევუქმნით ოკუპანტს, მით უფრო გაძლიერდება ჩვენზე შემოტევები ქვეყნის გარედან თუ შიგნიდან მართული ჯგუფების მხრიდან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დასახული გეგმების შესრულებას მოსალოდნელი შემოტევები ვერ შეაფერხებს.

მოხსენება მინდა დავასრულო მოწოდებით ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა და პირის, ყველა მხარდამჭერისა და განსაკუთრებით ჩვენდამი კრიტიკულად განწყობილი ადამიანების მიმართ (ზნეობისაგან დაცლილ ცილისმწამებლებსა და უმეცრებს არ ვგულისხმობთ), მოგვაწოდონ თავიანთი შენიშვნები, წინადადებები, პროექტები, რათა ერთობლივად ვიმუშაოთ მათ განხორციელებაზე. მზად ვართ თანამშრომლობისთვის ყველასთან, ვისაც სურს და უნარიც შესწევს აკეთოს აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი კონკრეტული სასარგებლო საქმე.

გმადლობთ ყურადღებისთვის.

2020წლის 4 თებერვალი.